



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 მარტი 2026



N 164/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეღვრეკისის ტერიტორიაზე წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 მ³-ზე მეტია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეღვრეკისში, ზღვის დონიდან დაახლოებით 762 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთ უბნად (ჰაბურლილის GPS კოორდინატები: X-418672 Y-4666272).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია შუა და ზედა მეოთხეულის ალუვიურ-პროლუვიური ნალექების გრუნტის და წნევიანი წყლების წყალშემცველი კომპლექსით, რომელსაც ფართო გავრცელება აქვს. მუხრან-ტირიფონის დეპრესიის ფარგლებში წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული, ქვარგვალეზიანი კონგლომერატებით, შუაშრეებით, ლინზებით და თიხებით. კონგლომერატის ცემენტი ძირითადად ქვიშიანი და წყალშელწევადია. ნალექების სიმძლავრე 120 მეტრს აღემატება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით სალიცენზიო ობიექტი ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს მდებარეობს. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით აღნიშნული ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არსებული ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 70 მეტრს. წიაღისეულის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. დოკუმენტის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 150 000 მ³ რაოდენობის მიწისქვეშა წყლის მიღება შესაძლებელია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ქიმიური შედეგებით, ჰორიზონტის წყლები ჰიდროკარბონატული ან ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა, ზოგჯერ შერეული კათიონური შედეგებით. საერთო მინერალიზაცია 1 გ/ლ-მდეა, ხოლო ტემპერატურა 10-13°C-ის ფარგლებში მერყეობს. ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არსებულია და იგი საჭიროებს მხოლოდ თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგებას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან დაკავშირებული არ იქნება, რაც გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას გამოიწვევდა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღისეულის (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომლებსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა წყლის გარემოს დაბინძურებას არ გამოიწვევს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიამი, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეღვრეკისის ტერიტორიაზე წელიწადში 150 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გზშ-ს;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/164-21-4-202603161029>

